ნატო ქობულაძე, დალი ბერანძე

DOI: https://doi.org/10.52340/zssu.2022.14.07

პოზიტიური მიდგომის მნიშვნელობა ბავშვის სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებისათვის

აბსტრაქტი: *უფროსების მხრიდან პოზიტიურ მიდგომებსა და დამოკიდებულებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვის სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებაში. სოციალურ-ემოციური უნარების განვითარება ერთ-ერთი გამოწვევაა საქართველოს თანამედროვეობაში.*

სტატიაში განხილულია ის აქტუალური საკითხები და რეკომენდაციები, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება ზრდასრულებს, აღმზრდელ-პედაგოგებს, მასწავლებლებს ბავშვებთან პოზიტიური მიდგომების ჩამოყალიბებაში.

ასევე ყურადღება გამახვილებულია ადრეული განათლების დაწესებულებებში მომუშავე სპეციალისტების კომპეტენციებზე, მათი პროფესიული გადამზადების საჭიროებაზე, ვინაიდან ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგთა და სკოლის პედაგოგთა პროფესიული გადამზადების საკითხებში სოციალურ-ემოციური უნარებისა და პოზიტიური კომუნიკაციის საკითხებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება.

საკვანძო სიტყვები: *ქცევითი პრობლემები, ბაგა-ბაღის აღმზრდელი.*

Nato Kobuladze, Dali Berandze

The Importance of a Positive Approach for the Development of a Child's Social-Emotional Skills

Abstract: *Positive approaches and attitudes of adults toward children has a great importance for the development of their social-emotional skills. Development of social-emotional skills in children is one of the challenges in modern Georgia.*

In this article we discuss current issues and recommendations which will significantly support adults, educators and teachers in order to form positive approaches toward children.

Attention is also focused on the competencies of specialists working in early education institutions, as well as the necessity of professional training, since the issues of social-emotional skills and positive communication play an important role in the professional training of kindergarten teachers and school teachers.

Keywords: *Behavioral problems, kindergarten teacher.*

პოზიტიური მიდგომის მნიშვნელობა ბავშვის სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებისათვის

უფროსების მხრიდან პოზიტიურ მიდგომებსა და დამოკიდებულებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვის სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებაში. სოციალურ-ემოციური უნარების განვითარება ერთ-ერთი გამოწვევაა საქართველოს თანამედროვეობაში.

სტატიაში გვინდა მიმოვიხილოთ ის აქტუალური საკითხები და რეკომენდაციები, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება ზრდასრულებს, აღმზრდელ-პედაგოგებს, მასწავლებლებს ბავშვებთან პოზიტიური მიდგომების ჩამოყალიბებაში.

კვლევები აჩვენებს, რომ მტკიცე და მზრუნველი ურთიერთობები ბავშვს ყველაზე კარგად იცავს პრობლემური ქცევის ჩამოყალიბების რისკისაგან. აღნიშნული ურთიერთობები ოჯახებიდან იწყება.

მშობლების გარდა, მასწავლებლებიც მნიშვნელოვან დროს ატარებენ ბავშვთან და ბუნებრივია, მათაც შეუძლიათ, მყარი, დადებითი ურთიერთობის ჩამოყალიბება მათთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი, როცა ოჯახური ურთიერთობები არამყარია. როგორც კაროლ ჰოუსი და შერონ რიჩი აცხადებენ ნაშრომში „ნდობის საკითხი“ (2002), „ბავშვების მასწავლებლებთან ადრეული ურთიერთობის ჩამოყალიბების ხარისხი თანატოლებთან მომავალი სოციალური ურთიერთობების, ქცევითი პრობლემების, სკოლაში მიღწევების მაჩვენებელია (გვ. 6)“.

უფროსების პოზიტიური კომუნიკაცია ბავშვთან ჩვილობის ასაკიდან უნდა დაიწყოს. „უფროსი ისე უნდა დაელაპარაკოს ჩვილს, რომ ბავშვმა ის ადვილად აღიქვას და ყურადღება მიაქციოს. ბავშვმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ ურთიერთობაში უფროსის საუბარზე დაკვირვებითა და მასზე რეაგირებით. როცა ეს საუბარი ხდება ძალიან ინტენსიური და დამღლელი, ბავშვი გვერდით გახედვით ან მთქნარებით გამოხატავს, რომ დაიღალა და დასვენება სჭირდება (Brazelton, Koslowski, & Main, 1974; Field, 1982; Shore, 1997; Stern, 1974; White, 1995)“.

გულისხმიერი უფროსი ყურადღებით აკვირდება ბავშვს ურთიერთობისას. მას არ გამორჩება მომენტი, თუ როდის იღლება ბავშვი. როცა ბავშვს ეძლევა საშუალება რამდენიმე

წუთი დაისვენოს, ის მიანიშნებს უფროსს, რომ ისევ მზად არის ურთიერთობისთვის. „უფროსი უნდა დაელოდოს ჩვილის ხმის ამოღებას და გაიმეოროს მისი ხითხითი, ღუღუნი და ტიკტიკი. ასეთი სახის ბავშვური საუბარი, რომელსაც ბავშვი წარმართავს, ძალიან სასარგებლოა ¬– ბავშვი კომუნიკაციას შეიგრძნობს დიდი ხნით ადრე, სანამ სიტყვების თქმასა და გაგებას დაიწყებდეს (Bruner, 1978a, 1978b)“.

ჩვილები იოლად ხვდებიან, რომ მათი გარემო კონტროლირებადი და პროგნოზირებადია, როცა უფროსის პროგნოზირებად რეაქციას იწვევს ბავშვის განსაზღვრული ქცევა. ყოველივე ეს გარემოში მათი ჩართულობის მოტივაციას ზრდის, ასევე ეს მათ სწავლის სტიმულს აძლევს. თუ უფროსებისგან ჩვილები გრძნობენ, რომ მათ არ შეუძლიათ ურთიერთობა, ისინი თავს მარტოსულად გრძნობენ, ღიზიანდებიან და პასიურობენ.

კომუნიკაციის შემდეგი მცდელობა, სასურველი ქმედება კომუნიკაციის მეშვეობით ამცნოს უფროსს, გამოხატავს ბავშვის უნარს. „უფრო მოზრდილი ბავშვები სწავლობენ საგნებისკენ წინ და უკან გახედვას, ბუზღუნით უთითებენ ან ხელს იწვდენენ რაიმე საგნისაკენ (Harding & Goliknoff, 1979). კარგად განვითარებული ახალფეხადგმული ბავშვი ხვდება საუბრის მნიშვნელოვან ელემენტებს: ძირითად სიტყვებს, ინტონაციას, ტონის ცვალებადობას, სახის გამომეტყველებას, ჟესტებს; ადეკვატურად რეაგირებს, როდესაც სთხოვენ რაიმეს მიცემას თუ გამორთმევას. შესაძლოა, აზრი ვერ გამოვიტანოთ იქიდან, რის თქმას ცდილობს ჩვილი, მაგრამ თავაზიანი მოზრდილი გამონახავს გზას, რომ ბავშვს მოთხოვნა აღარ გაამეორებინოს“.

ლაპარაკის დაწყებისას წახალისება, გამხნევება, მხარდაჭერა, დადებითი და გამამხნევებელი, სტიმულს მისცემს ბავშვს, კიდევ სცადოს ლაპარაკი. ზედმეტი შენიშვნები, შესწორებები, საუბრის წამოწყებისას თუ განვრცობისას, გულის აცრუების წინაპირობას წარმოადგენს. „ორი წლის ბავშვსაც კი, რომელმაც უკვე ბევრი სიტყვა და გამოთქმა იცის, ფრთხილად წაქეზება სჭირდება დიალოგში ჩასართავად. უფროსებს შეუძლიათ პატარებისათვის მარტივი კითხვების დასმით (მაგალითად, „ეს შენი დიდი დათუნიაა? რა ჰქვია შენს დათუნიას?“) აქტიურად ჩართონ ისინი საუბარში (Honing &Wittmer, 1997, Kaye, 1982)“.

მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ადრეული განათლების დაწესებულებებში მომუშავე სპეციალისტების კომპეტენციებზე, რამდენად გააზრებული აქვს უფროსის მხრიდან პოზიტიური კომუნიკაციის მნიშვნელობა, რამდენად ფლობენ პოზიტიურ კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებს.

ბავშვთან კომუნიკაცია ყველაზე ძლიერი იარაღია აღმზრდელისა თუ მასწავლებლისათვის. მნიშვნელოვანია ბავშვები უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს უფროსებთან, რადგანაც მათ საიმედო საყრდენი სჭირდებათ გარემოს შეცნობაში და ეს საყრდენი ხშირ შემთხვევაში არის მასწავლებელი. პოზიტიური კომუნიკაციისას „ის (იგულისხმება „ბავშვი“) სწავლობს საკუთარი თავის შეფასებასა და პიროვნული ძალის რწმენას; ხვდება, რომ შეუძლია გავლენა მოახდინოს გარშემო მყოფ ადამიანებზე და რომ ისინი საჭიროებების დაკმაყოფილებაში დაეხმარებიან. გულისხმიერი და მზრუნველი უფროსი ბავშვისთვის მოდელი ხდება და მას შეუძლია, უფროსისაგან ისწავლოს თავისი გრძნობებისა და ქცევის გაგება, რეგულირება, სხვა ადამიანებზე ზრუნვა, საგნების მათი თვალთახედვით დანახვა და მათი გრძნობების გაგება (Shonkoff &Phillips, 2000)“.

როცა უფროსები ბავშვებზე ზრუნავენ, ბავშვებს სურვილი უჩნდებათ ისწავლონ უფროსებზე მიბაძვით. ეს გარკვეული ურთიერთობების ჩამოყალიბებას იწვევს, რაც წარმატების მიღწევის წინაპირობაა. ეს ყველაფერი ზრდის აღმზრდელების, მასწავლებლების შესაძლებლობებს, რომ დაეხმარონ ბავშვს, გამოუმუშავდეს შესაბამისი სოციალურ-ემოციური კომპეტენციები. შესაბამისად, წარსული გამოცდილება, ოჯახთან გარკვეული ურთიერთობები, დიდ გავლენას ახდენს ბავშვის საკომუნიკაციო უნარების განვითარებაზე.

აღმზრდელებმა და მასწავლებლებმა მნიშვნელოვანია გაითვალისწინონ, რომ ბავშვის კარგად გაცნობა, მასთან პოზიტიური ურთიერთობის დამყარების წინაპირობაა. თუ რა ურთიერთობა აქვთ ბავშვთან, დამოკიდებულია იმაზე, აღმზრდელები თუ მასწავლებლები რას ხედავენ, როცა უყურებენ ბავშვს, როგორ რეაგირებენ ბავშვების მოთხოვნილებებზე, როგორ მოაწყობენ / არგებენ მათ ოთახს, რესურსს, როგორ შეურჩევენ აქტივობებს ბავშვის განვითარებისა და ინტერესების შესაბამისად. ასევე მნიშვნელოვანია საკუთარი თავის კარგად გაცნობა , რომ ბავშვი უფრო ზუსტად შეაფასონ.

„თქვენი ფასეულობები და რწმენა ასევე ძლიერ გავლენას ახდენს (Vartuli, 2005), მაგრამ რადგან ისინი თქვენი კულტურისა და აღზრდის ნაწილია, შესაძლოა, ეს არც კი გაქვთ გაცნობიერებული. როცა ბავშვი თვალებში არ გიყურებთ, ადვილია მას უზრდელი უწოდოთ, სანამ არ გააცნობიერებთ, რომ მის კულტურაში უფროსთან თვალით კონტაქტი შესაძლოა უპატივცემულობის, ზიზღის ან აგრესიის ნიშანი იყოს; ან თუ თქვენ ისე გაიზარდეთ, რომ გჯერათ, ბავშვმა ის უნდა გააკეთოს, რასაც უფროსი ეტყვის, შეიძლება გეწყინოთ, როცა ბავშვი შეგეკითხებათ, ზღაპრის კითხვის დროს რატომ უნდა დაჯდეს თქვენს მუხლებზე“.

როცა ზრდასრულები ფიქრდებიან თავიანთ გრძნობებზე, ფასეულობებსა და რწმენაზე და იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ეს მათ ქცევაზე, თითოეული ურთიერთობა ბავშვთან უფრო გააზრებული ხდება. ამ დროს იზრდება საკუთარი თავის პატივისცემის გრძნობა, რაც ეხმარება ადამიანს აკონტროლოს მისი ქმედებები.

მნიშვნელოვანია ზრდასრული ადამიანების ხედვები და დამოკიდებულებები შეიცვალოს თვითრეფლექსიისა და პრაქტიკაში დაკვირვების შედეგად.

რეფლექსური აზროვნების ავტორი, ფილოსოფოსი და განმანათლებელი ჯონ დიუი ნაშრომში „როგორ ვფიქრობთ“ (1933) ახასიათებს სამ დამოკიდებულებას:

- ფართო თვალთახედვას, რომელიც არის „აქტიური სურვილი, მარტო ერთ მხარეს არ მოუსმინოთ, ფაქტებს ყურადღება მიაქციოთ, არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა წყაროდან მოდის, ალტერნატიულ შესაძლებლობებს სრული ყურადღება დაუთმოთ, გააცნობიეროთ შეცდომის შესაძლებლობა ჩვენთვის ყველაზე ძვირფას რწმენაშიც კი“ (გვ. 30-32).
- გულწრფელ, გულიდან წამოსულ მოქმედებას, რომელიც მთელი ძალისხმევით ქმედების სურვილს წარმოადგენს.
- პასუხისმგებლობას, რომელიც არის პირდაპირობის ერთ-ერთი ფორმა, სურვილი, გაიაზროთ შესაძლო ცვლილებების შედეგები და მიიღოთ ეს ცვლილებები, თუ თქვენს აზრებს შეესაბამება“.

აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული გადამზადების პროცესში, ხშირად ვიყენებთ შეკითხვას: „გაიხსენეთ, ბავშვობაში რომელი მასწავლებელი მოგწონდათ და რომელი არა, რატომ? რას ამბობდნენ და აკეთებდნენ ისინი და რას გრძნობდით თქვენ?“ მსმენელების გამოთქმული მოსაზრებებიდან ხშირია ისეთი ეპიზოდების გახსენება, როცა ნეგატიური

დამოკიდებულება მასწავლებელთა თუ აღმზრდელთა მხრიდან, საკმაო დროის განმავლობაში მათ ხელს უშლიდა წარმატების მიღწევაში, იყო მიზეზი მოტივაციის დაკარგვისა, ან პირიქით, როცა მათ გულისხმიერი მასწავლებელი თუ აღმზრდელი ახსოვთ, როგორ უხაროდათ ბაღში თუ სკოლაში წასვლა და როგორ განაპირობა მათი მომავალი პროფესია აღნიშნული მასწავლებლების დამოკიდებულებამ. ამდენად, აღმზრდელთა და მასწავლებელთა კომპეტენცია, განუვითარონ ბავშვს სოციალურ-ემოციური უნარები, პროსოციალური ქცევის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობად ჩაითვლება.

„სოციალური და ემოციური უნარები ეხმარება ბავშვებს, არა მხოლოდ შეიძინონ მეგობრები და შეეწყონ სხვებს, არამედ საშუალებას აძლევს

- ამოიცნონ და მართონ თავიანთი ემოციები (Fabes & Eisenberg, 1992)
- აიმაღლონ თავდაჯერებულობა და თვითშეფასება (Michelson & Mannarino, 1986)
- გადაჭრან კონფლიქტები უფრო ადვილად და ნაკლებ აგრესიულად (Fabes & Eisenberg, 1992)
- თავიდან აიცილონ თანატოლებისგან გარიყვა და ვიქტიმიზაცია (Perry, Kusel, & Perry, 1988)
- უკეთესი შედეგები ჰქონდეთ სკოლაში (Elias & Schwab, 2006)
- შეამცირონ მომავალი დამნაშავეობისა და ძალადობის რისკი (Nagin & Tremblay, 2001)“

საქართველოში ბევრი ოჯახია, რომელთაც დაბალი შემოსავალი აქვთ, ამდენად აღნიშნული უნარების განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია მცირე შემოსავლების მქონე ოჯახებიდან გამოსული ბავშვებისათვის, რომ მათ ცხოვრებაში არსებული სტრესი მართონ და ცხოვრებაში რეალიზდნენ.

ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგთა და სკოლის პედაგოგთა პროფესიული გადამზადების საკითხებში სოციალურ-ემოციური უნარებისა და პოზიტიური კომუნიკაციის საკითხებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება.

უფროსებმა სოციალურ-ემოციური უნარების მოდელირებით უნდა წარმართონ ბავშვებთან/მოსწავლეებთან სწავლება, განუმტკიცონ და პოზიტიური უკუკავშირი მიაწოდონ მათ. „თუმცა, ადრეულ ასაკში, ბავშვები თანატოლებთან ურთიერთობისას ბევრად მეტს სწავლობენ (Fabes et al., 2006)“.

სოციალური უნარების მქონე ბავშვები ერთად ყოფნას ამჯობინებენ, რაც მათ სოციალურ კომპეტენციებს უვითარებთ. მათთვის კონფლიქტიც სასარგებლოა: ის ეხმარება ყველა ამ უნარის განვითარებაში, სხვა ადამიანების განცდების გაგებაში .

მაგრამ, რისკის ქვეშ მყოფი ბავშვები შესაძლოა სრულიად განსხვავებულები იყვნენ თავიანთი თანატოლებისაგან განსხვავებული გამოცდილების გამო. „მათი სოციალური ურთიერთქმედებები ხშირად ხანმოკლეა, ნეგატიური და დესტრუქციული, რადგან მათ აკლიათ სოციალური და ემოციური უნარები და უჭირთ არეგულირონ თავიანთი განცდები. მათზე სოციალურად უფრო კომპეტენტური ბავშვების მიერ უარყოფილებს და გარიყულებს შესაძლებლობა არ ეძლევათ შეიძინონ მათთვის საჭირო უნარები (Fabes et al., 2006)“.

ზრდასრულებმა უნდა გააცნობიერონ, რომ თანატოლები ძალიან მნიშვნელოვანი როლური მოდელები არიან. „სასტიკი მოპყრობის მსხვერპლ და უგულებელყოფილ ბავშვებზე ჩატარებულ კვლევაში, მასწავლებლის მიერ სასურველი ქცევის განმტკიცებამ მხოლოდ 12 პროცენტში გამოიღო შედეგი, მაგრამ როდესაც თანატოლებიც იყვნენ ჩართულები, პოზიტიური პასუხები 53 პროცენტამდე გაიზარდა (Strayhorn & Strain, 1986). სოციალურად კომპეტენტური თანატოლები, რომლებსაც ყოველდღიურად შეუძლიათ მისაღები ქცევის მოდელირება და განმტკიცება პრობლემური ქცევის მქონე ბავშვებისთვის საუკეთესო მასწავლებლები არიან (Slaby et al., 1995; Vitaro & Tremblay, 1994)“.

მნიშვნელოვანია ყველა ზრდასრულმა, მათ შორის ბავშვებთან მომუშავე აღმზრდელ-პედაგოგებმა, გაითვალისწინონ შემდეგი რეკომენდაციები პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის:

- აწარმოეთ ჟურნალი, გააკეთეთ ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები
- მასწავლებლებს/აღმზრდელებს შეგიძლიათ კონცენტრირება გააკეთოთ ყოველდღიურ ამბებზე, რთულ და დასამახსოვრებელ შემთხვევებზე, ერთ ან რამდენიმე ბავშვზე, ან ერთ, ან მრავალ თემაზე. გამოიყენოთ, როგორც ჩანაწერები, ასევე დააფიქსიროთ თქვენი რეფლექსია.
- ითანამშრომლეთ კოლეგებთან, მშობლებთან, არა მხოლოდ არსებული პრობლემების გასაზიარებლად, არამედ წარმატებების აღსანიშნადაც.

- ჩართეთ მშობლები საგანმანათლებლო პროცესში, რის შედეგადაც სარგებელს იღებს საგანმანათლებლო პროცესის ყველა მონაწილე.

გთავაზობთ შემდეგ სქემას მაგალითის სახით:

აღნიშნული რეკომენდაციები მიეწოდათ ბაგა-ბაღის აღმზრდელებს 60 საათიანი ტრენინგ-კურსის „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარება“-გავლის შედეგად.

ხარისხის სტანდარტის მიმართულება „ურთიერთობა,“ - რომელშიც მოცემულია ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სივრცეში ჩამოსაყალიბებელი ურთიერთობები და ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სოციალური გარემოს მახასიათებლები, მოიცავს ბავშვის განვითარების სფეროს: სოციალურ-ემოციური განვითარება, ქვესფეროს: ემოციების და ქცევის მართვა : „ბავშვი ავლენს საკუთარ ემოციებს/ იმპულსების და ქცევის მართვა: ბავშვი ავლენს პროსოციალურ ქცევას/ურთიერთობა“- ყველა ამ სფეროსა და ქვესფეროს ფარგლებში აღნიშნულ საკითხებს აღმზრდელ-პედაგოგები მითითებული ტრენინგ-კურსის ფარგლებში ეცნობიან.

ხარისხის სტანდარტის მნიშვნელოვან მიმართულებაზე- „ურთიერთობები“- მუშაობისას შესაბამისი ინდიკატორების გაზომვა ხდება თითოეული ბაგა-ბაღის მაგალითზე, რის შედეგადაც აღმზრდელ-პედაგოგები უკეთ აცნობიერებენ პოზიტიური დამოკიდებულებებისა და სოციალურ-ემოციური კომპეტენციის განვითარების როლს ადრეულ განათლებაში.

აღმზრდელების უმრავლესობამ ბაგა-ბაღის ხარისხის სტანდარტის გაანალიზებისა და კარგად შესწავლის შედეგად, აღნიშნული რეკომენდაციები განახორციელეს პრაქტიკაში, რის შედეგადაც, მათი გამოკითხვისას, დასახელდა დადებითი მაგალითები, შემთხვევები, სადაც მკაფიოდ გამოჩნდა პოზიტიური მიდგომებისა და კომუნიკაციის გავლენა ბავშვების სოციალურ-ემოციური კომპეტენციების განვითარებაზე. თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს ბაგა-ბაღები, სადაც აღნიშნული საკითხი გამოწვევაა აღმზრდელებისა თუ აღმზრდელ-პედაგოგებისათვის და საჭიროა დროულად მათი ჩართვა პროფესიული განვითარების პროცესებში.

ლიტერატურა:

1.ადრეული დაგანათლების ხარისხის სტანდარტის გზამკვლევი-2019.

https://www.unicef.org/georgia/media/3041/file/skolamdeli-ganatlebis-standarti.pdf

2.გარემო რომელსაც უყვარს ბავშვი-2019

https://www.unicef.org/georgia/media/3031/file/garemo-romelsac-uyvars-bavshvi.pdf

3.როგორ გავხდე კარგი მშობელი-tpdc-2014

https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC1676340/